16

ხუთშაბათი 1 ივლისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ. და დარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 130 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 130

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

დასავლეთ საქართველოს მევენახეთა საზოგადოება „ალექსანდრეული“ ამა ხუთ ივლისიდან თფილისში დაიწყო ღვინით ვაჭრობა. რაჭა ლეჩხუმის (ყიფიანას), სვირის, ქართლის, კახეთის და სხვა ღვინოები.
თფილისი, ოლღას ქუჩა, სახლი № 8. 5—2.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ღოღოლაძეების სამკურნალო

## — აბანო. —

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჭაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ჭვზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამოობით. თ.

## Кутаисская женская гимназія

(Зарѣчный участокъ, Месхетская улица)
симъ объявляетъ, что съ предстоящаго 1915-16 учеб. года при названной гимназіи открываются младшее и азбучное отдѣленія приготовительнаго класса, а при VIII дополнительномъ классѣ кромѣ спеціальности „русскій яз.“, еще спец. „математика“. Пріемныя испытанія для постороннихъ лицъ и переэкзаменовки для учениць начнутся 17 го августа с. г. 4—2.

## განცხადება.

ღამით, 2 ივლისს ქუთაისიდან აჯამეთს შუა დავკარგე თბილისის მატარებელზე, პორტფელი, რომელშიაც იყო: ორი ვექსილი ას-ას თუმნიანი, ჩემი პირადობის მოწმობა, ათი თუმნის კვიტანცია თბილისის ხაზინისა და სხვა წერილები. მპოვნელს ვთხოვ უმორჩილესად აღნიშნული პორტფელი დოკუმენტებით მოიტანოს, ან გამოგვიგზავნოს გაზ. „სამშობლოს“ რედაქციაში ქ. ქუთაისში.
10—10 სიმონ სიკოს ძე კილაძე.

ბრიუსელის უნივერსიტეტის სწავლა დამთავრებული ქართველი ქალი
ასწავლის და ამზადებს ორივე სქესის მოწაფეებს ფრანგულ ენას.
პირობების შეტყობა შეიძლება „სამშობლოს“ რედაქციაში დილის 9 ს. 12 საათამდე. თ.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისათვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის ვამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველ ყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვების და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გომპიტდის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

კერძო ექიმი მიხეილ კაშია
კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას ღებულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
საზაფხულო შენობაში.
ხუთშაბათიდან, 16 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება სურათი:
I.
## სიკვდილის ტელეფონი.
სამ ნაწილათ, ინჟ. ბულვერის თავგადასავალიდან ვალტერ დიკენსის მონაწილეობით. ტურჩინსკის სცენარიუმი.
II.
მ. ი. უ. დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის დასაფლავება.
III.
მხიარული კომედია სიყვარულის ღმერთი მხიარული კომედია

ანონსი: ორშაბათიდან, 20 ივლ. ნაჩვენები იქნება: ცოდვის აჩრდილი.
სამ ნაწილათ. სამეფო თეატრის არტისტის ვ. ა. კორალლის მონაწ.

18 კვირიკობისთვეს სოფ. საყულიის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის
მარიამ (მაშიკო) მესხისა მემმარიაშვილის ასულის
სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ განსვენებულის ჭირისუფალნი: მეუღლე დიმიტრი ალმასხანის ძე მესხი, შვილებით და დედა ალათი მემმარიაშვილისა მიქელაძის ასული. 1—1—518.

## დაიკარგა ძაღლი.
ფინია, (Комнатная собака) შემდეგ ნიშნებით: ტანათ პატარა, ფერათ თეთრი, უკუდო, შავი ნიშანი აქვს თავზე, მარცხენა თვალზე და უკანა ფეხზე. მპოვნელს სთხოვენ მიიყვანოს სახელმწიფო ბანკის ... სამართველოს უფროსთან ობორინის შესახვევში ქებ. სახლში ... ისთვისაც შესაფერ ჯილდოს მიიღებს.

ქალების კერძო გიმნაზია მ. ი. ეაუხიშვილისა ამით აცხადებს, რომ მისაღები და ხელახალი გამოცდები ყველა კლასებში დაიწყება 17 აგვისტოს, ხოლო სწავლა 1-ს სექტემბერს. 3—1—521.

სობოროსთან, რიჟინაშვილის სახლში მოთავსებული სავაჭრო სახლი
## ერქომაიშვილისა და ამხ.
რომელიც ომიანობის გამო დროებით გადმოვიდა სოხუმიდან,
ამ მოკლე ხანში ისევ აპირობს გადასვლას.
ამის გამო ყოველგვარი საქონელი მყიდველ საზოგადოებას დაეთმობა
ძლიერ ხელმისაწვდომ ფასებში.
10—10 პატივისცემით ფ. დ. ერქომაიშვილი.

ქუთ. რეალური სასწავლებლის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი
კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულების თანახმათ, სთხოვს ქუთაისში საზაფხულოდ დარჩენილ მოწაფეთა მშობლებსა და ნათესავთ, მობრძანდნენ რეალური სასწავლებლის შენობაში 1915 წ. კვირას, 19 ივლისს, დილის 11 საათ. დანიშნულ კრებაზე, მოწაფეების კლას გარედ ყოფაქცევისა და მისი მოწესრიგებისათვის ზომების გამოსამუშავებლათ.
ქუთ. რეალური სასწ. დირექტ. თან. აღმასრულებელი. 3—1.

# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 13 ივლ. საღამოს ოფიციალური ცნობა. არტუაში არტილერიის ბრძოლა ცხრება. რამდენიმე დიდი ყალიბის ყუმბარა ჩამოვარდა არასში. შამპანში, პეტრ, ბოსეჟურის და ვოკუას ფრონტზე სანაღმო ბრძოლაა. წარმატება ჩვენ მხარეზეა. ლეპრეტის ტყეში განუწყვეტელი სროლაა. მტერი პონტამუსონს ესროდა. მტერი ესროდა აგრეთვე იმ პოზიციებს, რომელიც მან ბანდესანთან დაკარგა.

### იტალიის ასპარეზი.

**რომი.** 14 ივლ. ოფიც. იუწყებიან, რომ რადგანაც კუნძულ პელაგოზი დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, ამის გამო იგი დაიკავა იტალიის საზღვაო ძალამ.—

### რ უ ს ე თ ი.

### სიძვირის საკითხის გამო.

**მოსკოვი.** 14 ივლ. რუსეთის ქალ. კავშირის მიერ მოწვეულმა კრებამ დაამთავრა თავისი მუშაობა. კრებამ დაადგინა მთელი საქმე დაუქვემდებაროს სურსათის საკითხის შესახებ ცენტრალურ კომიტეტს, რომლის სათავეშიდაც იდგომება მთელი ქვეყნისაგან ნდობით აღჭურვილი პირი. ეს პირი იქნებოდა მინისტრთა საბჭოს ერთი წევრთაგანი. ხალხის გამოკვების საკითხი ადგილობრივ ექვემდებარება ქალაქის თვითმართველობებს ადგილობრივ კომიტეტებში შედიან ერობის წარმომადგენელნი, კოოპერატიული ორგანიზაციები. ქალ. თვითმართველობებს გაეხსნებათ კრედიტის ფართო ორგანიზაცია. ნიხრის დაცვა და ... კრებამ სასურველათ სცნო. ნიხრი უნდა გამოიცეს საერობო და ქალაქის თვითმართველობასთან შეთანხმებით. კოოპერატივების შესახებ კრებამ დაადგინა, მოისპოს ის მიზეზები, რომელნიც აფერხებენ მათ განვითარებას. კრებამ საჭიროთ სცნო კოოპერატივებს მიენიჭოს უპირატესობა კერძო ვაჭრებთან შედარებით. ამისთვის კრებამ საჭიროთ სცნო დაუყონებლივ განხორციელდეს კოოპერატივების შესახებ კანონი, რომ მათ შეეძლოთ მონაწილეობის მიღება სიძვირესთან ბრძოლაში. სასურველია მოეწყოს სრულიად რუსეთის კოოპერატივების კომიტეტის ორგანიზაცია, აგრეთვე მოეწყოს საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო კოოპერატივები. კრებამ სასურველათ სცნო მოხდეს აწერა პირუტყვებისა, დათესილ ადგილებისა და სათბობ მასალისა. საერთო კრებამ მიიღო შემდეგი საზოგადო პოლიტიკური რეზოლუცია: თანამედროვე დროის მიხედვით და მტერთან უმჯობესათ ბრძოლის გასაგრძობათ საჭიროა ყველა ძალების შეერთება და ცხოვრების მოწყობა ომის დროის პირობებთან შეფარდებით. სიძვირესთან ბრძოლის უკეთეს პირობებში წარმოებისთვის საჭიროა კავშირების პროფ. ორგანიზაციების სრული თავისუფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქურნალ გაზეთებიდან.

## ბულგარეთისა და გერმანიის მეგობრობა.

ბერლინის გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ ახლათ დანიშნულ ბულგარეთის ელჩს დოქტორ რიზოვს, რომელიც აშკარა გერმანოფილია.

მისი ჩამოსვლის დროს ბერლინში კონცერტი გაიმართა დოქტორ ანასტასიევის ოჯახში სადაც მონაწილეობას ღებულობდა, არა მარტო ბულგარლები, არამედ გერმანლებიც: კონცერტის შემდეგ დამსწრე ხალხმა სამჯერ იმღერა ბულგარეთის სახალხო ჰიმნი.

## ლოძი.

გერმანელმა პოლიციის პრეზიდენტმა ლოძში დახურა პოლონელი ნატარიუსების ყველა კანტორა. პირობის შესადგენათ დანიშნულია ორი გერმანელი ნატარიუსი: ლუდეკე და კროხმანი. საოლქო სასამართლოს გარდა, ლოძში 5 მომრიგებელი სასამართლო სწარმოებს.

1 ივლისიდან ლოძში გინდენბურგის განკარგულებით დანიშნეს ქალაქისა და პოლიციის ახალი გამგეობები. პოლიციის უფროსად დანიშნულია პოლკოვნიკი ლინკე.

## ლვოვი.

ლვოვის კომენდანტმა გენერალ რიმლმა ბრძანება გასცა დაუყონებლივ მოისპოს ყოველივე წარწერა რუსულ ენაზე.

## სამხედრო ცნობა.

„ბერლინ“ ლოკ. ანც-ში დოქტორი საად-ბეი ამტკიცებს, რომ არავითარი სომხეთი არ არსებობს. არის მხოლოდ ოლქი დასახლებული სხვა და სხვა ტომითა და პირებით. არ არსებობს აგრეთვე სომხური რასაც. ბოლოს ავტორი იუწყება, რომ ოსმალეთში არაოდეს არ ყოფილა და არც არი ქრისტიანების, (როგორც სარწმუნოების) დევნა და დარბევაო.

როტერდამიდან იუწყებიან, რომ უკანასკნელ დროს გერმანელები ბელგიაში დიდს ჯარს უყრიან თავს. ბრუგიდან და სხვა ადგილებიდან გაჰყავთ დაჭრილები. ახენიდან ყოველ დღეს გადის მატარებელი დაჭრილ გერმანელებით სავსე.

## როზა ლუქსემბურგის, კლარა ცეტკინის და მერინგის პასუხის გებაში მიცემა.

დიუსსელდორფის ბრალმდებელმა საქმე აღძრა მერინგის, კლარა ცეტკინისა და როზა ლუქსემბურგის და სხვა ს.-დ.-ულ. პარტიის გამოჩენილ წევრთა წინააღმდეგ, რომელთაც ბრალათ ედებათ ჟურნალ „ინტერნაციონალის“ გამოცემა, რომელიც ანტისახელმწიფოებრივი მიმართულებისაა.

## იტალიის ფლოტი მოკავშირეებს უერთდება,

იუწყებიან, იტალიის ფლოტის დარდანელში ჩასვლას, რომელიც შეუერთდება მოკავშირეთა ფლოტს.

## სამხედრო ბაკალავრები.

ყოველ შემოდგომაზე მთელს საფრანგეთში გაცხარებული ეგზამენებია. ათი ათასობით ჩამოდიან ორივე სქესის ახალგაზდები პროვინციიდან პარიზში, სადაც სორბონში უნდა ჩააბარონ ბაკალორიის ეგზამენები, ე. ი. მიიღონ სიმწიფის ატესტატი.

ეგრე არ ხდება წელს პარიზში, თუმცა საეგზამენო მუშაობა გაცხარებულია. ყველა სცდილობს ჩააბაროს პირველი საუნივერსიტეტო ეგზამენები, ვიდრე შეუდგებოდეს თავის მოქალაქეობრივ მოვალეობის ასრულებას. ეს მართლაც რომ სამხედრო ეგზამენებია. ეგზამენატორები სცდილობენ ყველა კითხვები შეუფარდონ იმ დიდ ტრაგედიას, რომელსაც განიცდის დღეს საფრანგეთი.

აი ზოგიერთი თემა: „ფრანგთა ცივილიზაცია“ „პიემირე კორნელის თხზულებებში“. „ვაჟკაცობა“ „როგორ უნდა პატივი სცეთ ადამიანის ღირსებას“, „რაში მდგომარეობს მორალის პროგრესი“ და სხვა. ზეპირი ეგზამენები პირდაპირ სამხედრო ეგზამენია, მატემატიკაში ეკითხებიან პარაბოლებზე, მანძილის გამონაგარიშებას. ფიზიკაში უმავთულო ტელეგრაფზე, ტელეფონზე. ქიმიაში ასაფეთქებელ ნივთიერებაზე, სულის შემხუთველ გაზებზე და სხვა.

ისტორიის პროფესორები ყურადღებას აქცევენ პოლიტიკურ დამოკიდებულების ევოლიუციას, გერმანიის ეკონომიურ ძალას, ბალკანეთის კრიზის, პანგერმანიზმს და სხვა.

გეოგრაფიაში კითხვები თავს იყრის დარდანელთან, კონსტანტინოპოლთან, ჩერნოგორიასთან, რუსეთის ფრონტთან და სხვა.

ყვილაფერი კარგათ თავდება. მსაჯულნი სასტიკათ არ იქცევიან, ყოველნაირათ სცდილობენ გამოიხსნან დაბნეული კანდიდატი.

ხან გამოშვებით ლაფშინების ბრაგუნით, და შპორების წკრიალით გამოდის დაფასთან ახალგაზდა არტილერისტი. პროფესორი ალერსით სახეში უცქერის. აძლევს რწყვილ კითხვას, რომელზეც თვითონვე უპასუხებს და სიყვარულით ეუბნება ჯარისკაცს.

„merci et bonne chance?“

ასე მიმდინარეობს საეგზამენო გამოცდა, მაშინ, როდესაც ბრძოლის ველზე გაცხარებული ბრძოლაა.

ხვალ ეს ახალგაზდები ჩაიცმენ ჯარისკაცის მაზარას და დაამტკიცებენ თავის ზნეობრივ ძალას, რომელიც არ ჩამოურჩება მათ ინტელექტუალურს.

მაგრამ რამდენი მათგანი დაეცემა ბრძოლის ველზე?! „ბ. ვ.“

# რუსეთის ქრონიკა.

## სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა.

უმაღლესი ბრძანება სენატისადმი 99 ძირითადი სახელმწიფო კანონის ძალით გიბრძანებთ: სახელმწიფო საბჭომ და სახელმწიფო სათათბირომ 19 ივლისს 1915 წ. განაახლოს თავისი მეცადინეობა.

ნიკოლოოზი.

ცარსკოე სელოში 8 ივლ. 1915 წ.

## მინისტრთა საბჭოს სხდომა უმაღლესი თავმჯდომარეობით.

8 ივლისს ცარსკოე სელოში მისი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის თავმჯდომარეობით მოხდა მინისტრთა საბჭოს სხდომა.

## ნ. ს. ჩხეიძის დეპეშა თ-დ. ნ. ბ. შჩერბატოვთან.

სახელმწიფო სათათბიროს წევრმა ნ. მ. ჩხეიძემ გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრს ნ. მ. შჩერბატოვს დეპეშით სთხოვა, რომ მიიღოს იგი ამ მახლობელს დღეებში.

ნ. ს. ჩხეიძეს აზრათა აქვს პირადათ მოელაპარაკოს შინაურ საქმეთა მინისტრს შესახებ არსებულ ზვერვისა, რომლის გამოც მას სდევნიან ყველგან უცნობი პირნი და ხანდახან აცილებენ კიდეც სახელმწიფო სათათბიროში.

**მოსკოვი.** გუშინ ქალაქის მთავარ მმართველმა თ-დ ფ. ფ. იუსუპოვმა წარუდგინა სენატორ ვრაშენნიკოვს ვრცელი წერილობითი მოხსენება...

8 ივლისს აგრძელებდენ მასკოველების გამოკითხვას. რევიზიის პირველი ნაწილი დასრულდა. ეხლა რევიზია შეუდგება იმ მიზეზების გამოკვლევას, რომელმაც გამოიწვია სამწუხარო მოვლენა. ბ. ვ.

# პრესა.

როგორც მკითხველებს ეხსომებათ, „სახალხო ფურცელმა“ ომი ბუტკა ქართულ-რუსულ და სომხურ-რუსულ გაზეთებს. თემა ძველია, იგი წააგავს ძველ პიესას, რომელსაც „სახალხო ფურცლის“ ანტრეპრენიორები დრო გამოშვებით სარეპერტუარო არხივიდან ამოაძვრენენ ხოლმე. როდესაც „სახალხო“ ამ გაზეთებს ეკამათებოდა, მაშინ მრისხანეც იყო და პირიდან ცეცხლებსაც ჰყრიდა. არ ვიცოდი, რომ მისი სიტყვები პეტროგრადამდისაც მივიდოდა, ეხლა, როცა კადეტების „რეჩში“ ადგილი ჰპოვა ამ პოლემიკის ნიმუშმა, „სახალხო ფურცელს“ გულუბრყვილო მოულოდნელობის მსხვერპლათ მოაქვს თავი და პეტროგრადელ „რეჩს“ დიდ სკანდალს უპირობს.

ჩვენის აზრით გასაოცარი აქ არაფერია. თუ სოციალისტური გაზეთი შესაძლოთ სთვლის გაილაშქროს რომელიმე გაზეთის წინააღმდეგ, მარტო მიტომ, რომ იგი განსაზღვრულ ენაზედ იბეჭდება, შოვინისტურ და ნაციონალისტურ კადეტურ „რეჩსაც“ აქვს უფლება ამის გამო უსიამოვნოთ ჩაახველოს.

მარტოა მაზედ ქარიშხალის ატეხა ჩხირათაც არა ღირს. ჩვენი მკითხველებისათვის უფრო საინტერესოთ მიგვაჩნია, მოვიყვანოთ გაზეთ „საქართველოდან“ ის ადგილი, რომელიც გამოწვეულია ამავე პოლემიკით, მაგრამ რომელიც უფრო სხარტულად ახასიათებს [illegible] და მის პარტიას:

„კადეტთ პარტიის ბელადის მილიუკოვისა და მისი გაზეთის „რეჩის“ დასახასიათებლად ნეენც გვაგონდება ორიოდე ამბავი. როცა ოსმალეთიც ჩაერია ომში, „რეჩმა“ მეთაურ წერილში ასეთი აზრი გაატარა: კავკასიელ ერებს ეძლევათ შემთხვევა დაამტკიცონ თავიანთი ერთგულება რუსეთისადმი. ვინც უფრო ერთგული გამოდგება და მეტ სარგებლობას მოუტანს რუსეთს, მას მეტიც მიეცემაო. როგორც ხედავთ, ეს გაზეთი ნამდვილ დღის მართავდა ერებისას. ქართველს, სომეხს, ან მაჰმადიანს იმისთვის კი არ უნდა ებრძოლნა, რომ პირნათლად და ერთგულათ შეესრულებინა სახელმწიფოს წინაშე თვისი მოვალეობა, არამედ იმისთვის, რომ მეტრესთვის გაესწრო და პრიზი დაემსახურებინა. კადეტთა გაზეთი ალბად არ გრძნობდა, რომ ასეთი დიდი კავკასიელ ყოველ ერის შეურაცხყოფა იყო. მას აქეთ ამ გაზეთს ქართველების შესახებ კრინტიც არ დაუძრავს. ამავე გაზეთმა დაბეჭდა ამიერიდან ისტორიული ვიცეს დეპეშა და... არ დაბეჭდა ოფიციალური განმარტება პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსი შესახებ იმისა, რომ ქართველების ერთგულებაში ეჭვიც არავის შეჰპარვიაო.

ვინც დაკვირვებით ადევნებს თვალყურს რუსულ პრესას და ცხოვრებას, იმას ძალიან გაუჭირდება იმის გამოცნობა, თუ ვინ არის ქართველი ერის მეგობარი ან მტერი: კადეტი მილიუკოვი თუ შავრაზმელი პურიშკევიჩი“.

## სინოდის ობერ-პროკურორი ა. სამარინი და საქართველოს ეკლესია.

როგორც ვიცით, მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ა. დ. სამარინი დანიშნულ იქნა უწმ. სინოდის ობერ პროკურორად. ამის გამო თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა შემდეგი მისალოცი დეპეშა გაუგზავნა ბ-ნს სამარინს:

„მათს აღმატებულებას უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორს ალექსანდრე დიმიტრის ძეს სამარინს. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება

# რა არის სახალხო მასწავლებლის მოვალეობა.

ამ უკანასკნელ ხანებში სახალხო მასწავლებლებს გამოფხიზლება დაეტყოთ. ამ ბოლო დროს მომზადდა ნიადაგი მუშაობისთვის და შორის [illegible] დიდებული მომენტი, [illegible] მასწავლებლებიც მედგრად აფრიალებენ ჭეშმარიტების დროშას. თვითონ ცხოვრებამ შეაშუქა მასწავლებლის ბნელს ბინაში და სიცოცხლის სხივებმა გამოაჰყვეტეს თვალები ხანგრძლივად მძინარე მასწავლებლობას. დღეს ვერ ნახავთ ისეთს სახალხო მასწავლებელს, რომელიც რაიმოდენიმეთ მაინც არ ილვწოდეს ხალხის საკეთილდღეოთ. დღეს აღარ არის არც ერთი იმისთანა მასწავლებელი, რომელსაც ცოტათი მაინც არ სწამდეს იმისი საქმის მოწესრიგების შესაძლებლობა. დღეს არ მოიპოვება არც ერთი იმისთანა მასწავლებელი, რომელიც, შეძლებისა-და გვარად, ხალხის საქმეებში არ ერეოდეს და მისს სასარგებლოდ არ მუშაობდეს.

დრო მშვენიერია... მოძრაობა, ბრძოლა, სიცოცხლე, კეთილ მისწრაფებანი, შეუდრეკელი მუშაობა სკოლასა და სოფელში, აი—რა ახასიათებს თანამედროვე მასწავლებლებს. რასაკვირველია, ყველა ერთ რიგათ ამ მოქმედობს, მაგრამ, საერთოდ რომ ეხლა მასწავლებლები ამოძრავდენ ჩვენი ერის საკეთილდღეოთ, ეს აშკარა ფაქტია.

როცა განახლებული ძალა გამოდის სამოქმედოთ, მას ყოველთვის დასახული აქვს თავისი მიზანი და ჩვენს მუშაობასაც, რასაკვირველია, რაიმე ნაყოფის გამოღება უნდა შეეძლოს.

ყველამ იცის, რომ სახალხო მასწავლებლის იდეალი გამოიხატება ცხოვრებისათვის სადი, პატიოსანი და ყოველმხრივ განვითარებული ადამიანების მომზადებაში, რომლის განხორციელებას ხელს უნდა უწყობდეს ყველა პატიოსანი ადამიანი.

როგორც ხედავთ, მიზანი მშვენიერია, მაგრამ მისი განმახორციელებელი გზა ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებას არ ეურჩევა. მიზეზი დაუდევრობაა.

სწავლა-განათლების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას მარტო მასწავლებელი ვერ შესძლებს და ამიტომ ამ საგნის შესახებ ჩემს წერილებში მასწავლებელი იგულისხმება ინიციატორათ, დანარჩენი ინტელიგენტური ძალა და შეგნებული მუშები მხარის დამჭერისა და დახმარების როლს უნდა ასრულებდენ. ეს რამოდენიმედ აქამდისაც ასე ხდებოდა, მაგრამ, რაღაც მანქანებით, შეუმჩნეველი რჩებოდა ზოგიერთა ვაჟბატონის მიერ.

უადგილო არ იქნება, ცოტა ხნით შევაჩეროთ ყურადღება სკოლათა ცხოვრებაზე და სახალხო მასწავლებლის შრომის დაფასებაზე, როგორც ფართო მასის მიერ, ისე ინტელიგენციისა და მთავრობის მხრივაც. დაწვრილებითი ცნობების მოყვანა და ყველაფრის გამომზეურება დღესდღეობით შეუძლებლად მიგვაჩნია და ბოდიშს ვიხდი, რომ ერთი თვალის გადავლებით, საერთოდ უნდა შევეხო ჩვენს ისტორიას; შეიძლება იგი მომავალშიაც გაურკვეველი დარჩეს, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელ ძალთა განწყობილება იმ ფარგლებში დარჩა, რომელშიაც დღეს არის. არსებული მომენტი ძალიან უვარგისია რომელიმე საქმის მოსაგვარებლად, მაგრამ სწავლა-აღზრდის მოწესრიგება უკვე მომწიფებულია და მისი გარკვევა თანამედროვე ცხოვრების ერთს მიუცილებელს საჭიროებას შეადგენს.

მას შემდეგ, რაც ბატონ-ყმობა მოისპო, სახალხო სკოლების დაარსება ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა და ახლად განთავისუფლებული ხალხის სწავლა-განათლება მორიგ კითხვებში წამოიჭრა. საზოგადოებებმა თავისი ხარჯით გახსნეს სასწავლებლები და ნელ-ნელა იწყეს მათი გამრავლება. პირველ ხანებში, ყველა, ვისაც შეეძლო ორი ღერი რუსულის თქმა, მასწავლებლობის დიპლომს ღებულობდა და რა გასაკვირველია, თუ ამისთანა მასწავლებელი სულითა და გულით არ იყო მონდომილი ხალხის გათვითცნობიერებას. მაშინ მასწავლებლობა ხელ-საყრელ თანამდებობად იყო მიღებული: ჯარში არ იწვევდენ, ბევრ პასუხს არ სთხოვდენ, შედარებით კარგ ჯამაგირს აძლევდენ (მაშინდელი 300 მან. ეხლანდელს 800-ს უდრის) და თვითონ მოუმზადებელნი მაგრე რიგად ხალხის საქმეს ყურადღებას არ აქცევდენ.

სკოლებისთვის ფულის გაღებამ და მასწავლებელთა უვარგისობამ ცუდი გავლენა იქონია გლეხობაზე. ხალხი მიეჩვია და დღესაც, რა რიგ ღირსებითაც უნდა იყოს შემკული მასწავლებელი, მაინც ალმაცერად უცქერიან და სულ ხშირად უნდობლობას უცხადებენ მას. ცხადია-ისე აღარ არის დაშორებული ხალხი და მასწავლებელი ერთი მეორეს, როგორც წინათ იყო, მაგრამ მათში სრული სოლიდარობის განმტკიცებას კიდევ დიდი დრო უნდა და ეს არის ერთი მთავარი ფაქტორთაგანი ჩვენი ერის კულტურულად ნელი წინსვლელობისა.

გლეხობა, ხალხი მკვდარი არასოდეს არ ყოფილა. იგი ყოველთვის სწრაფად ღებულობდა ყოველივე ახალ შთაბეჭდილებას და ხანგრძლივადაც ატარებდა მას. მაშინდელი მასწავლებლები ამ ჭეშმარიტებას ან ვერ ხედავდენ, ან ისე იყვნენ გატაცებული პირადი საქმეებით, რომ ყურადღების ღირსადაც არ სთვლიდენ. ვინც ქრთამს არ მისცემდა, არაფერს არ გაუკეთებდენ, გარდა ბავშვების სწავლებისა, რაშიაც, ალბად, იქნებოდა ქრთამის აღება, თორემ, აბა რას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ სოფლად ხშირად გაიგონებდით: „მასწავლებელი არ დაგიპატიჟებია, ძღვენი არ მიგირთმევია, პატივი არ გიცია და რაფერ ისწავლიდა შენი ბავშვი; აი-მე, როცა ჩემს შვილს ვატარებდი სკოლაში, სულ მასწავლებლის პატივის ცემაში ვუყვი და ძიტომაც გამოვიდა ნასწავლი“-ო. თქმა არ უნდა, ქრთამობია-პურობისას სკოლის კედლებშიაც ჰქონდათ ადგილი, რადგანაც ხშირად სოფლის სამმართველოსთან, სადაც ეხლაც დიდ ხმარებაშია პურ-ღვინით მოხელეების გაუმაძღრება, იყვნენ აშენებული სასწავლებლები. მაშინდელი მასწავლებელი გონებრივად ბევრით არაფრით განსხვავდებოდა სოფლის მწერლებისგან და სიამოვნებით ღებულობდა მორთმეულ ფეშქაშებს. ბოლოს, თუმცა გაჩნდენ ამისთანა პატივისცემის უარის მყოფელნი, მაგრამ მიჩვეული ხალხი თავისას არ იშლიდა და ხშირად საყვედურითაც მიმართავდენ ხოლმე „უკადრისს მასწავლებელს“. რაღა გზა იყო? იცოდით, გპატიჟობდენ იმიტომ, რომ მეტი ყურადღება მიგექცათ მათი ბავშვებისთვის, გრძნობდით სულიერ ტანჯვას, მაგრამ, თუ არ წახვიდოდით, უარესი დაგემართებოდათ: გაიმართებოდა საქვეყნო აგიტაციები თქვენს მიუკარებლობის შესახებ და უნებურად ხდებოდით მსხვერპლი უმსგავსო ჩვეულებისა. ასე ხდებოდა აქამდის ყოველგან, ეხლა ბევრგან შეიგნეს ძველი ჩვეულების უვარგისობა და კიდეც უარ-ყვეს იგი, ხშირად კი ისევ უხერხულობაში ვარდება თანამედროვე მასწავლებელი.

ამ ორი წლის წინად მე ვმსახურობდი ლეჩხუმის მაზრის ერთ-ერთ სასწავლებელში; სისუსტის გამო დატოვე მეორე განყოფილებაში, სხვებთან ერთად, ერთი ბავშვი. მეორე დღეს-დილას მოსულა ამ ბავშვის ძმა და თავ-მოკრული ხურჯინი დაუდევს ჩემი ოთახის კარებთან; შემოვიდა სკოლის დარაჯი და მითხრა—№-ს თქვენთან საქმე აქვს; მე გამოვედი და ვკითხე-რა გნებავთ-მეთქი. მან წარბშეუხრელად მიპასუხა „ჩ. I ბავშვი დაგიტოვებიათ, მამაჩემმა გამოგიგზავნა პურები, ქათამი, ღვინო და გთხოვს გადაყვანაო“-ო. მე გავშმდი, ავკიდე ზურგზე საგზალი, გავაგზავნე შინ და დავაბარე: „უთხარი მამაშენს, რომ მე პურებისათვის არ დამიტოვებია მისი შვილი და აწი მაგისთანა საქმეზე ჩემთან ნუ მოხვალთ“-მეთქი. მართლაც, მას შემდეგ აღარ მოუტანიათ ჩემთვის პურები, მაგრამ რაღაც უკადრისობას კი მიკიჟინებდენ. ნათლად სჩანს რომ ხალხი ნამდვილ მოხელეთა სთვლის მასწავლებელს და არა თავისს ერთგულ ჭირისუფლად. რასაც განებავთ, იმას მიაწერეთ, რამ გამოიწვია ხალხის თვალში მასწავლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიგიწვიათ თქვენ უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის მაღალ თანამდებობაზე. ქართველი თავად-აზნაურობა სიამოვნებით აღნიშნავს იმას, რომ **მათმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ** მიიწვია ამ მაღალ თანამდებობაზე თავად აზნაურობის არჩეული კაცი. გულმხურვალედ გილოცავთ ახალ თანამდებობას და იმედს გამოვსთქვამთ, რომ ივერიის მრავალტანჯული მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის ღვიძლი შვილია თავად-აზნაურობა, ჰპოვებს თქვენში ივერიის ეკლესიის უკუნითი—უკუნისამდე უფლებათა დამცველს და მზრუნველს მისის სამწყსოს მრავალგვარ საჭიროებისას“.

ამის პასუხად თავ. ღ. ე. ჩოლოყაშვილმა შემდეგი დეპეშა მიიღო ობერ პროკურორ სამარინისაგან:

„სულითა და გულით მადლობას მოგახსენებთ თქვენ და ქართველ თავად-აზნაურობას მოლოცვისათვის. ვალად ვრაცხ ჩემს თავს ხელი შევუწყო, რომ სამართლიანი და კანონიერი საჭიროებანი მართლმადიდებლობისა კავკასიაში დაკმაყოფილებულ იქნას“.

# ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

✦ **ქუთაისის გუბერნატორი** კამერ იუნკერი ბ-ნი პოტულოვი ამ დღეებში გურიაში მიემგზავრება მოუსავლობით დაზარალებულთა გლეხების მდგომარეობის გამოსარკვევათ.

✦ კვირას სოფ. პატრიკეთში აკურთხეს ქართ. შორის წერა-კით. გ. ს. ქ. განყოფილების უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველო. კურთხევას დიდძალი ხალხი დაესწრო. კურთხევაზე დაესწრენ სამკითხველოების მეთვალყურე მელიტონ დოლაბერიძე და გამგეობის წევრი ბართლომე მოსეშვილი.

✦ ქუთაისის გუბერნატორს სამხედრო სასამართლოს სასურსათო განყოფილებიდან მოწერილობა მოუვიდა, რომ სამიწათმოქმედო სამართველოს უფროს გამგეს ნება დაურთავს ქალაქის გამგეობისათვის შეიძინოს ის სურსათი, რომელიც გამზადებულია ჯარისკაცთათვის. ასეთი სანოვაგე მოიპოვება იმპერიის სხვადასხვა ნაწილებში. ბ. გუბერნატორმა ეს ქუთ. ქალ. გამგეობასაც აცნობა და სთხოვა თავისი აზრი ეცნობებია, შეიძნეს თუ არა ამ სურსათს. ეს საკითხი ქალ. სააჭოს სამეურნეო კომისიამ გაარჩია 13 ივლისს და სთხოვა ბ. გუბერნატორს შეეკითხოს სასურსათო გამგეობას: 1. ამიერ კავკასიის რომელი უმახლობელესი ადგილიდან შეიძლება ამ სურსათის შეძენა, 2. რა დრომდი შეიძლება სურსათის მიღება, 3. რა ფასი აქვს დაწესებული და 4. რა ღირსებისაა და აგრეთვე სთხოვს სამართველოს გამოგზავნოს სხვადასხვა სურსათის ნიშნები.

✦ ოკრიბაში ამ ჟამათ გლეხები მეტად შეწუხებულნი არიან. იმათ ახდევინებენ სიმინდის საყიდლათ შარშანდელ აღებულ ვალს. როგორც ვიცით, ბ. გუბერნატორი დეპუტატ ჩხენკელს ამის შესახებ შეპირდა, თუ უკეთუ გლეხები იშუამდგომლებენ, მთავრობა ფულის გადახდას დააცლისო. საჭიროა ოკრიბელმა გლეხებმა მიმართონ ბ. გუბერნატორს ამგვარი შუამდგომლობით.

✦ სამშაბათს, 14 ივლისს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა სამეურნეო და ვაგონების გამაწესრიგებელი კომისიის კრება, რომელმაც ქუთ. ვაჭრებს სურსათის შემოსატანათ ვაგონები გაუნაწილეს.

✦ როგორც ოდიშიდან გვწერენ, ადგილობრივი მომხმარებელი საზოგადოებები უკვე შეუდგნენ თავდარიგს მომავალი წლისათვის აბრეშუმის თესლის შესაძენათ. საზოგადოებები გლეხებს საუკეთესო თესლს მიაწოდებენ.

✦ ბ. გუბერნატორმა დაამტკიცა შაქრის ნიხრი, რომლის მიხედვითაც პირველი ხარისხის დატეხილი შაქარი გირვანქა 21 კ. თავი შაქარი 19 კაპ. და ფხვნილი კი 18 კაპიკათ გაიყიდება.

✦ კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსმა გენერალ—ლეიტენანტმა ბრძანება გამოსცა, რომ ამა წლის 1 აგვისტოდან აკრძალული იქნება კერძო საჭიროებისათვის კავკასიიდან გაზიდონ ქერი და სხვა საქონლის საკვები.

✦ კვირას, 28 ივნისს, დ. ხარაგოულში ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა გამართეს წარმოდგენა. ითამაშეს „ცხოვრება ბრძოლაა“ და ვოდევილი „შანტაჟისტები“. წარმოდგენამ სუსტათ ჩაიარა.

✦ გუშინ, 15 ივლისს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა საჯარო ვაჭრობა სალორიის აგარაკზე 15 დესეტინა ტყის მოჭრის შესახებ. ტყე მოსაჭრელათ ბიკტორ ქავთარაძემ აიღო. საჟენი შეშა უნდა დაამზადოს 4 მან და 75 კაპიკათ.

✦ ჩვენი გაზეთის რედაქტორი იაკობ ცინცაძე (ია ეკალაძე) ქართლიდან უკვე დაბრუნდა და თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა. ამ დღეებში ბ-ნი ცინცაძე უპასუხებს ი. ოცხელს (ს. ხუნდაძე და გ. ცაგარეიშვილი) იმ ბრალდების გამო, რომლითაც მას სურს თავი იმართლოს საზოგადოების წინაშე, ვითომც ი. ცინცაძე მასწავლებლობიდან გადაეყენებიოს იმიტომ, რომ „კარგათ ვერ ასრულებდა თავის მოვალეობას, როგორც მასწავლებელი“-ო (იხ. „სამშ.“ № 125).

✦ ქალ. სანიტარმა ი. ჩაჩანიძემ ოქმები შეუდგინა ძველების გამყიდველებს ყაფანზედ უპლომობო და უდეზინფექციოთ ტანისამოსის გაყიდვისათვის. 1, მიხეილ იაკობაშვილს. 2, ბინო ბინიაშვილს. 3, გაბრიელ ხანანაშვილს 4, სიმონ ელუაშვილს. 5, ელო გაგულაშვილს. და 6, მოშე ხოტოველს

✦ ამავე სანიტარმა ოქმი შეუდგინა სადგურის მახლობლათ მიხა თურქიას უსუფთაობის გამო.

✦ ქალ. სანიტარმა ი. ჩაჩიანიძემ ოქმები შეუდგინა ბაზრის ქუჩაზედ გრიგორი აივაზოვს და ანდრო რევიას უსუფთაობის გამო.

### თბილისი.

**ვაჟა-ფშაველას ავადმყოფობა.** ექიმები ყოველს ღონეს ღონობენ, რომ ავადმყოფი პოეტი ვაჟა-ფშაველა იმდენად მომჯობინდეს, რომ შესაძლებელი გახდეს მისი წაყვანა რომელსამე აგარაკში. პოეტს ძალიან აწუხებს ის დიდი სიცხე, რომელიც ამ ბოლო ხანს დაიჭირა თბილისში. როგორც გუშინაც ვწერდით, თვით პოეტსაც ჯანში ამ ბოლო დროს სიცხემ უმატა. განზრახულია, პოეტი გაიგზავნოს სურამში, სადაც ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იქნება.

**კრებული საქართველოს შესახებ** თბილისის ინტელიგენტთა ერთ ჯგუფს განზრახვა აქვს რუსულ ენაზე გამოსცეს კრებული საქართველოს შესახებ. კრებულში მოთავსებული იქნება ისტორიული, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული წერილები საქართველოს შესახებ. გარდა ამისა, გამორკვეული იქნება საქართველოს ეკონომიურ, კულტურული და პოლიტიკური მდგომარეობა, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების განვითარება და სხვა. კრებული შემოდგომაზე გამოვა პეტროგრადში.

## მოკლე პასუხი დიდ საქმეზე.

გაზეთ „სამშობლოს“ მე 116 ნომერში მოთავსებულია ჰაიდარბეგ აბაშიძის წერილი, რომელშიც გულის წყრომას გამოსთქვამს გაზეთ „სამშობლოში“ მოთავსებულ წერილის გამო, რომელიც საინგილოში გამეფებულ ქრისტიან და მაჰმადიან ინგილოთა შორის ანტიგონიზმს შეეხება.

მე, როგორც საინგილოს საქმეთა მეთვალყურეს და გულითა და სულით მოსურნეს ინგილოთა გათვითცნობიერებისა, არ შემიძლია ორიოდე სიტყვით მაინც არ უპასუხო ბ-ნ ჰაიდარბეგს ამ საინტერესო საკითხზე, რომელსაც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის.

გამომზევება ყველა ამისა, ისე კი არა, როგორც ბ. რ. ინგილო სწერდა, არამედ უფრო ვრცლად და დაწვრილებით, არასდროს მეტი არ იქნება, რადგანაც ყოველივე შეცდომის და მარცხის გამოაშკარავება, შემდეგისთვის ჭკუის სასწავლი იქნება ჩვენთვის. ბ. აბაშიძემ შესაძლებელია არც კი იცოდეს, რომ საინგილო და აჭარა სულ სხვა პირობებში იყო, რუსეთთან შეერთების დროს, აჭარა მაშინ მთლად გამუსულმანებული იყო თუ არ ვცდები, საინგილო კი ნახევრად, ე. ი. ისეთი მდგომარეობა იყო, რომ ხალხი რყევაში იყო—არც გამუსულმანებულიყო სრულიად და არც ქრისტიანობა დაეკარგა. ბოდბის მიტროპოლიტები მუდამ მხნე დარაჯათ უდგენ ქრისტიანობას საინგილოში, მუდმივ გზავნიდნენ მრავლად გადაცმულ მღვდლებს, რომელნიც ჩუმად, მალულად ყოველივე მღვდელ-მოქმედებას ასრულებდნენ და მიუხედავათ ლეკების ბარბაროსობისა და ბატონობისა მთელს საინგილოში ქრისტიანობა იმდენად იყო დაცული, რომ რუსეთთან შეერთების დროს 1803 წელში დაწერილ ხელშეკრულობაში ჭარბელაქნელები ... არობას აძლევდენ რუსეთის მთავრ...ბას, ამიერიდგან ხელს აღარ შეუშლით ინგილოებს (განსაკუთრებით ერთომბათის, რომელიც დღეს ცენტრია მუსულმან ინგილოებისა) მართმადიდებელ სარწმუნოების აღსარებაში.

აი, ასე იყო მაშინ, ინგილო მაშინ საქართველოსკენ გაიცქირებოდა და თავის თავს ქართველათა სთვლიდა. ეხლა კი საშინელი სურათი გადაგვშლიებათ თვალწინ, გულსაკლავი, გულის ამღვრევი. მრავალი სოფლებია, რომელნიც ძალით ცხრაცამდის გამუსულმანდნენ კი არა მარტო, არამედ გათათრდნენ და ეს გათათრება საშინელს მოლიპულს გზაზედ მიექანება, ისეთ მოლიპულს გზაზედ მიექანება, რომ ჩქარა, ჩქარა უნდა ვუშველოთ.

სრულიად გაჰქრა ქართული ენა შათავარში, ბელში, სუსკენთში და სხვაგან. *) ბევრს მაწუხებდა, მაღონებდა და გულს მიკლავდა ეს საშინელი მოვლენა, მაგრამ მალამო კი ვერ გამომენახა, ბევრი ვცადე კერძო ლაპარაკი, ბევრი ვცადე შემეგნებინებია სარწმუნოებასა და ეროვნების განსხვავება, მაგრამ ჩვენ აღარავინ არ გვიჯერებს, ეშინიათ ჩვენი და რათაც ეშინიათ თქვენც კარგათ იცით, ბ-ნო ჰაიდარბეგო! ამ შემთხვევაში ჩვენისთანები კი არ არიან საჭირონი, არა, ჩვენ ეხლა ვილარაფერს გავხდებით, არამედ თქვენისთანებია საჭირო და ძალიან საჭირო. თქვენ როგორ ... ყველაფერს დაიჯერებენ და ... მენენ თქვენს ... მსურდა დიდათ, რომ აჭარიდგან მოლა, ხოჯა ვინმე გამომეწერა ეროვნულის შეგნებით აღჭურვილი, მაგრამ ჩემი სურვილი მარტო ოცნებათ რჩებოდა. ერთხელ მოვიდა აჭარიდან ერთი მოლა ეფენდი, ცას დავეწიე იქნება კაცი გავაჩერო და ხალხში ჩავაგდო მეთქი, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, იმან მხოლოდ რაღაც სახით შეწირულება შეაგროვა და უკანვე მოუსვა.

ეხლა თქვენ მოგმართავთ პატივცემულო ჰაიდარბეგ, ითავეთ, შეადგინეთ მთელი კადრი თქვენგან არჩეულის პირებისაგან ქართველ მუსულმანთა გათვითცნობიერებისათვის დატვირთეთ ეს პირები მუსულმანთათვის საჭირო და გამოსადეგ წიგნებით და დაგზავნეთ საშველიშველო საქმისთვის მთელს სამუსულმანო საქართველოში და კერძოთ საინგილოში, ისევე სწორედ როგორც ერთ დროს მოგზაურობდა დიდი მოღვაწე სამუსულმანო საქართველოსი ზ. ჭიჭინაძე, ე. ი., თან წერა-კითხვას ასწავლიდა მუსულმან ქართველებს და საჭირო წიგნებს არიგებდა.

თავს იდეთ ეს საქმე ბ-ნო ჰაიდარბეგ, ცხოვრებაში გაანხორციელეთ ეს იდეა და დარწმუნებული ვარ ყოველივე ქართველი აღმოგიჩენთ შემწეობას ამ საშველიშველო საქმეში. მოკიდეთ ხელი და დახმარებაც ჩვენგან მოითხოვეთ.

**მდილი.**

*) ბევრს სოფლებში საქმე იქამდის მივიდა, რომ პატარა ბავშვებს თათართა სოფლებში აბარებდნენ, რომ ქართული დაივიწყონ და აღარ ილაპარაკონო.

## ქართველი ისრაელების ცხოვრებიდან.

### I.

გაზ. „სამშობლოს“ №№ 116,117 და 118-ში მოთავსებულია „დ. პალესტინელის“ ვრცელი წერილი სათაურით: „წერილი ონის ებრაელების რაბინ დავით ბააზოვისადმი“. თავისთავად ცხადია, რომ ავტორი სამართლიანათ აღნიშნავს ყოველ ბრალდებებს, მაგრამ მეც მსურს ამ წერილს ანგარიში გავუწიო და ვსთქვა შემდეგი:

1. ბ-ნი პალესტინელი აღნიშნავს რა ბ. ბააზოვის მოწოდების სიძლიერესა და ღრმა მნიშვნელოვანობას, აღნიშნავს ქართველი ისრაელების გულგრილობას და განსაკუთრებით ქუთაისის ებრაელებისას. იგი სწერს:

„სამწუხაროთ ქუთაისის ებრაელები კი, გულ-გრილათ ... ყიდრიან ამ სისხლის ცრემლებით დაწერილ მოწოდებას. გავიგე ისიც, რომ არც ერთ სასული... ...ების პირს, არც ერთ მ...არს, არც ერთ ინტელიგენტს ამაზე ყურადღება არ მიუქცევია. სწორეთ სამწუხაროცაა და სამარცხვინოც“.

მკითხველს ერთი შეხედვით გაუკვირდება და იტყვის: ნუ თუ მარტო ქუთაისის ისრაელები ნახა ავტორმა ღირსი გაკიცხვისო? ნუ თუ მარტო ქუთაისში ცხოვრებენ ებრაელები და არა საქართველოს სხვა პროვინციებში? ან სხვა ქართველმა ისრაელებმა მიაქციეს ყურადღება და გამონაკლისს მარტო ქუთაისის ებრაელები შეადგენენ?

მე არ ვიცი, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ავტორი ამ წერილის წერის დროს. ვერ ვიტყვი ავტორზე და მის შეხედულებაზე ვერაფერს, მაგრამ პირადათ, მე კი, სამართლიანათ მიმაჩნია მის მიერ ქუთაისის ებრაელებისადმი საყვედური.

რასაკვირველია, მე როგორც უსწავლელ პირს, არ შემიძლია ვრცელი კრიტიკა გავუკეთო მის წერილს, მაგრამ ძალა-უნებურათ მიკლეთ მაინც მსურს ჩემი აზრი გამოვსთქვა ამ წერილის შესახებ, და რომ კიდევაც არ გამოდგეს ჩემი შენიშვნა სწორი და გარკვეული, მეპატიება, როგორც უსწავლელს. მხოლოდ, საჭირო კია, უფრო ჩემზე დიდათ განვითარებულნი ხმას ამოიღებდნენ და გასცემდენ პასუხს და არ დატოვებდენ „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ვინც ცხოვრების მიმდინარეობას დაუკვირდება, ვინც მისი ცხოვრების წვრილმან მოვლენებსაც არ გაუშვებს უყურადღებოთ, ის, ვინც მისი ცხოვრების მიმდინარეობას ანალიზს გაუ-

---

ლის მოხელედ აღიარება, ერთი ცხადია, რომ ქართველი გლეხი, რომელთანაც გვაქვს საქმე, უმთავრეს შემთხვევაში „ჩინოვნიკებს“ გვეძახის, რაც ცხლანდელ მასწავლებლობას არ შეეფერება, მაგრამ ეს ასეა და რა გაეწყობა!

დღნსავით ნათელია, რომ დღეს საქართველოში ალებ-მიცემობა დენაბიჯით წინ მიემართება. კაპიტალიზმი კი იმისთანა რამ არის, რომ გამდიდრებისა და განებივრებული ცხოვრების მოპოვების სურვილს ბევრს უღვიძებს გულში. თუ ვინმემ ორი-სამი კლასი გაათავა, მაშინვე იწყებს დიოგენის ფარნით სიარულს და, თუ დრო იხელთა, არავითარ საშვალებას არ ერიდება მღვრია წყალში თევზის დასაჭერად. კაპიტალისტურ ხანაში ხშირად ხდება შეჯახ-შემოჯახება საზოგადოებრივ ძალთა შორის და მაშინ ცხოვრების ზღვა იმღვრევა; მას შიგ გულში გაჩვეული აქვს საზოგადოებრივი თევზები-მდაბიო ხალხი და მუშები, რომლებიც მსხვერპლი ხდებიან უსაქმო „ინტელიგენციის“, მოხერხებულად დაგებულ, ანკესებისა. მაგრამ ხანდისხან ცხოვრების თევზები გაოსტატებული არიან და ეგრე ადვილად არ სცვდებიან მონავარდე „ინტელიგენციის“ ბადეში. ხშირად, როცა ცხოვრების ზღვა იწმინდება, მისი ვითარება ნორმალურ კალაპოტში ვარდება, მაშ გახსნილი „ინტელიგენტები“ ხელცარიელი რჩებიან; მაგრა არ იფიქროთ, რომ ისინი ამ მოვლენამ შეაფერთხოს? არა... ეხლა, როცა უსაქმოდ რჩებიან, ხერხს მიმართავენ ხოლმე: აიღებენ კალამს და მოჰყვებიან უთავ-ბოლო ჩმახვას არა იმიტომ, რომ ვინმეს გასწორება-გამოფხიზლება უნდოდეთ, არამედ თავისი თავის საზოგადო მოღვაწედ ასაღიარებლად. პირველი ხანებში, სამწერლო ასპარეზზე გამოსული, უგულო ინტელიგენციის“ ნაწილი იწყებს ლანძღვათრევას იმ ჯგუფის, ან პოლიტიკური პარტიისას, რომელიც მას დიდს ყურადღებას არ მიაქცევს. არ იფიქროთ, ახლად გამოჩეკილი კაცუნები პარტიულ დებულებებს ეხებოდენ—არა, ისინი სოფლის ამბების აწერის დროს ერთს, ან ორს ზედმეტს ფრაზას ჩაამატებენ კორესპონდენციაში ამა თუ იმ ჯგუფის სალანძღავად და მოჰადლიერებული პირებისგან ლებულობენ შესაფერს ატტესტაციას. შემდეგ, როცა სოფელში მასალი შემოელევათ, სწვდებიან მასწავლებლობას და ამ უკანასკნელთა შესახებ მათი წერილების უმართებულო კილო უმწვერვალესამდე აღწევს. ჩვენი პრესის მიერ მასწავლებელთა თავ-გამოდებულმა ლანძღვამ იმდენი გავლენა იქონია ზოგიერთა გაზეთის წარმომადგენლებზე, რომ ერთი მიმართულების ორგანოს თანამშრომელმა წარბშეუხრელად უპასუხა მასწავლებელთა ერთს ჯგუფს: „ჩვენ ცენზორმა ნება არ მოგვცა „ჩინოვნიკების“ შეკავშირებისა და განყოფილებას ვერ გაგიხსნითო“. როგორც ხედავთ, უბრალო ხალხში კი არა, თვით პრესაშიაც მასწავლებელს „ჩინოვნიკს“ უწოდებენ. რატომ? არ ვიცი. შეიძლება, ჩვენ მართლა „ჩინოვნიკები“ ვიყოთ, მაგრამ ჩინებს რომ არ გვაძლევენ, რატომ ხდება ეს? გლეხობა, ვისაც ყვითელი ფოლაქები აკერია ტუჟურკაზე, ყველას „ჩინოვნიკად“ სცნობს, მაგრამ შეგნებული ხალხი უფრო გარკვეული უნდა იყოს ჩინების გარჩევაში და გახუნებული ხავერდი „სტატსკი სოვეტნიკის“ ვარსკვლავად არ უნდა მოეჩვენოს. შეიძლება მბრძანებელი კილო გვქონდეს, ან სული, ან გული, ან ჩამომავლობა ჩინოვნიკური და ამიტომ ხალხიც და „ინტელიგენციაც“ გვეძახოდეს არა ნამდვილს სახელს? მაგრამ მასწავლებლებს ხომ გული წრფელი, სული წმინდა და ხალხისადმი სიყვარულით აღჭურვილი აქვთ. ბრძანებით ჩვენზე თუ ვინმე ბრძანებლობს, თორემ ჩვენ ყოველთვის დაბალ ლობედ ვიყავით მიჩნეული. აბა, რამ დაბადა საერთო გულის წყრომა ყველა ჯურის წრეებისა ჩვენდა მიმართ? მიზეზი ამ გულის წყრომისა ბევრია და, სხვათა შორის, თვითონ მასწავლებლებიც, როგორც ზევით მოგახსენებდით, და უფრო უსაქმო „ინტელიგენცია“, რომელსაც ყველა, ვინც სამსახურშია, მიუხედავად ამ უკანასკნელის საზოგადოებრივი მნიშვნელობისა, მაინც „ჩინოვნიკი“ ჰგონია. საქმიანს, მსხვილს ინტელიგენციას ცნობებს აწვდიან და აგენტობას უწევენ მოხეტიალე „ინტელიგენტები“ და ამიტომაც ყველგან და ყველასაგან დევნილი შევიქენით. *)

ზემოთ ნათქვამიდან ჩვენ ნათლად დავინახეთ მასწავლებლის სახე საზოგადოებაში, ეხლა შევეხოთ საგნის მეორე მხარეს და გამოვარკვიოთ, თუ როგორ უყურებენ მმართველი წრეები ჩვენს სახალხო მასწავლებლებს.

*) ჩვენი აზრით, პატივცემული ავტორი აქ ცოტათი აჭარბებს. **რედ.**

**ნარქანი.**

შემდეგი იქნება.

კეთებს, მას შეუძლია მთელი მისი წარსული და განვლილი ცხოვრება, მომავალის სარკეთ გამოიყენოს. და ვინც ამ სარკეში ჩაიხედავს ბდვილათ შეუძლია დაინახოს ყოველივე ის, რასაც იმ სარკეს გარეშე ვერ ხედავდა, ვერ ხედავს და ვერც შეხედავს.

ჩემი განვლილი ცხოვრებიდან ვიცი რომ, ქალაქი და სოფელი ერთმანეთზე გადახლართული რგოლია. როგორც პირველს, ისე მეორეს ურთმანეთოდ არსებობა არ შეუძლია. სოფელი ამაგრებს ქალაქს, ეკონომიურად, სამაგიეროთ ქალაქი აწვდის ყოველ გვარ კულტურას სოფელს. სოფელი ასაზრდოებს ქალაქს ფიზიკურად. სამაგიეროთ ქალაქი აწვდის მას სულიერ საზრდოს. თუ ქალაქი საკმაოთ დიდია, თუ მასში საკმაო კულტურაა დაგუბებული, თამამათ შეუძლია სოფელს უფრო მეტი მიაწოდოს თვისი ნაწარმოები ქალაქს, რომლის სამაგიეროთაც იგი უფრო მეტ კულტურასა და სულიერ საზრდოს მიიღებს. მაშ თუ ასეა, სინამდვილიდან სჩანს ქალაქი უკარნახებს სოფელს სამოქმედო გეგმას.

მაგრამ ქალაქი უხალხოთ, ისე, როგორც სოფელი, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ.

თუ ქალაქში ხალხი არ ცხოვრობს ის ვერც იქნება ქალაქი და არც წარმოსადგენია. ქალაქი კი არ შექმნის ხალხს და კულტურას, არამედ თვით ხალხი ქმნის ყოველივე სიმდიდრეს, და კულტურას რომელიც, დიდი ხნის შენობასა და კულტუამაღლების შემდეგ იგი ხდება ქალაქად ესევე შეიძლება ითქვის სოფელზედაც. იქ, სადაც ხალხი არ ცხოვრობს, მას ეწოდება „მინდორი“ ან „ველი“. სადაც ხალხი ცხორობს, მას უწოდებთ სოფელს. თავის თავად ცხადია, თვით ადამიანები ქმნიან და აშენებენ სოფელსა და ქალაქებს, და „სოფელ-ქალაქები“-ადამიანებს.

მაშასადამე, თავის თავათ იგულისხმება, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლებთან და არა სოფელ-ქალაქებთან. სოფელი ან სოფლის მცხოვრები დარწმუნებულია, რომ ქალაქი, ან უკეთ ქალაქის მცხოვრები გაცილებით სჯობს მას ცოდნითა და კულტურით. სოფელი ფიქრობს, სად, მე, სად ქალაქი. სად სოფლელი სად ქალაქელი. სწორეთ ეს არის უმთავრესი მიზეზი სოფლის კულტურულად [illegible] რომ იგი თავის თავს [illegible]არყოფით, და ქალაქს დადგიოთ [illegible] დაბლ [illegible] ლია [illegible] მაღლ [illegible] ქელია. ეს რომ ასეა იქიდანაც სჩანს, რომ ზოგიერთი მოქალაქე ამაყობს კიდეც, რომ ის ქალაქელია და სულ ცოტა მიზეზიც კმარა, „სოფლის კაცი“ გიწოდოს, ვითომდა ამით დიდი შეურაცხყოფა გაგრძნობინა. მართლაც, ზოგიერთი გულუბრყვილო სოფლელი ამ სიტყვას (სოფლის კაცს) თავის დამამცირებელ სიტყვათ სცნობს, და გაწითლებული, თავ ჩაღუნული, იქით აქით გამოიყურება, აბა ხომ არავინ გაიგონაო.

ეს იმის მაჩვენებელია, რომ სოფელი ან სოფლელი თავის თავს დაბლა აყენებს და ქალაქი, ან ქალაქის ზოგიერთი მცხოვრები—კი—თავის თავს მაღლა.

ასეთ მოვლენას საკმაო ადგილი უჭირავს ქართველ ებრაელებში. ამის დასამტკიცებლად მომყავს შემდეგი:

შემთხვევით მგზავრათ გავიარე ბანძაში. შაბათს იქ დავრჩი. სწორეთ ამ დროს ახალი გამოსული იყო ბ. ბააზოვის მოწოდებაც. ბანძაში ორი სამლოცველოა ებრაელების, ერთი კ. წ. აჯიაშვილებისა, და მეორე ე. წ. სეფიაშვილების. პირველის მრევლი უფრო მომაგრებული არის ეკონომიურად, ხოლო მეორესი, ზოგიერთების გამოკლებით, ძალზე ღარიბები. იმ დროს, როდესაც სალოცავში საკმაოთ იყო ხალხი თავ მოყრილი, პირველათ აჯიაშვილების სალოცავში ერთმა ადგილობრივმა ებრაელმა, მიმართა ხალხს თხოვნით, რომ მოესმინათ მისგან ბააზოვის მოწოდება. ხალხიც დასთანხმდა. დაიწყო წამკითხველმა კითხვა თუ არა, მთელი ჯამაათის ყურადღებაც მისკენ იქნა მიქცეული. სიმართლე სჯობია ითქვას, ჩემსას ვერ ვიტყვი სიმხნევეს, თან და თან ქრუანტელი მივლიდა, მთლათ სმენათ გადავიქეცი, მკითხველიც რაღაც მოხერხებით კითხულობდა, თითქო ანგრევდა, ჩემი სხეულის მთლიანობას როდესაც კითხვა მიდგა, „სად ხართ ღარიბნო ებრაელებო რატომ შუა არ გაუყოფთ თქვენ გამხმარ ლუკმას თქვენს გაჭირვებულ მოძმეებს“-ო, ამ სიტყვის გაგონებაზე რაღაც სულიერი ტანჯვა ვიგრძენი ტანში, კვლავ ჟრუანტელმა დამიარა, და თვალიდან ცრემლები წამსკდა.

დიდ ხანს სიჩუმე!.. კიდევ სიჩუმე! ვაკვირდები აბა ვინ რას იტყვის. ისევ სიჩუმე, არსაიდან ხმა. სიჩუმეს ისევ მომხსენებელი არღვევს. იგი მოითხოვს რომ: ეს ძლიერი მოწოდება არ დარჩენილიყო უყურადღებოთ. ხალხისაგან ისმის ხმა „სასურველია, სასურველი“-ო. აბა ვინ რას ინებებთ, მიმართა ხალხს ადგილობრივმა წინამძღოლმა ერთი აცხადებს მე მსურს შევეწიო 15 მ. ვთქვი, თუ, ხალხიც ასეთი უნდა მეთქი. უცებ გამიმტყუნდა იმედი. ერთმა გამოჩენილმა პირმა სთქვა შემდეგი: ჯერ მოვითმინოთ. ვნახოთ ქუთაისის ებრაელები, როგორ შეხვდებიან ამ მოწოდებას. ვნახოთ იქაური რაბინი რას იტყვის ამაზე. მერე ჩვენც ისე მოვიქცეთ, როგორც შეგვეფერებოდესო. მომხსენებელმა უკმაყოფილოთ შენიშვნა გაუკეთა ასეთ წინადადებას, მაგრამ მეორე მისმა ამხანაგმა ასეთი პასუხი მისცა: ჩვენზე მეტი ქონებაც მათ აქვთ და ცოდნაცო. თუ შეეწევიან ქუთათურები, ჩვენც შევეწევითო, თუ არა და ჩვენ ვისი ვართო.

აი მოკლეთ ზემო ნათქვამის საბუთი. აი რისთვის არის რომ ვამბობდი: ქალაქი და სოფელი რგოლივით გადაბმული არიან მეთქი. აი მტკიცე საბუთი იმისი, რომ ჩვენ ხალხში ჯერ კიდევ აქვს ადგილი სოფლისა და ქალაქის კაცობას. ბააზოვი მოწოდებას სწერს: ის სოფლის კაცია. დაუცადოთ ქუთაისის რაბინს რას იტყვის; ის ქალაქის კაცია.

შევპირდეთ ჩვენ, რადგანაც სოფლის კაცი [illegible] ნებრივი ბელა დიდება! **ნორა.**

(დასასრული ხვალ)

---

**დ. ხაშური.** შაბათს, 4 ივლისს, დ. ხაშურში მოხდა ხაშურის სამკითხველოს საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 20 წევრი, თანახმად წესდებისა კრება კანონიერად ჩაითვალა და გაიხსნა საღამოს შვიდის ნახევარზე, კ. ი. ძნელაძის თავმჯდომარეობით და დ. გ. ჯუღელის მდივნობით.

კრებაზე შემდეგი საგნები იყო განხილული:

1. მოხსენება გამგეობისა შესახებ შემოსავალ-გასავლისა დღიდან სამკითხველოს დაარსებისა და იმისი დამტკიცება.

2. საშუალების გამონახვა სამკითხველოს ვალის გადახდისათვის, რომელიც გამოიხატება 87 მ. 6 კ.

3. არჩევა ახალი გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

4. კომისიის არჩევა წ. კ. განყოფილების გახსნის საკითხის მოსაწესრიგებლად.

კრების დასაწყისში გამგეობის მიერ წაკითხულ იქნა მოხსენება და აღმოჩნდა, რომ 1912 წ., როდესაც სამკითხველო გაიხსნა, მას ჰყოლია 173 წევრი, მათ შორის 30 დამფუძნებელი; 1913 წ.—65 წევრი; 1914 წ.—21 წევრი, მათ შორის საწევრო გადასახადი შემოუტანია მხოლოდ 12: 1915 წელს კი სამკითხველოს ჰყოლია 11 წევრი, რომ ლიდგანაც შემოუტანია მხოლოდ 8. საწევრო გადასახადი ყოფილა დაჰყოფილი სამ ნაწილად: შეძლებულთათვის 25 ანუ 20 კ., ღარიბთათვის კი 10 კ. შემდეგ გამგეობამ აღნიშნა, თუ რა მდგომარეობაშია დღეს სამკითხველო. აღმოჩნდა, რომ სამკითხველო ჰყოფილა არა სასურველ მდგომარეობაში: მას ჰქონია ვალი 87 მ. 6 კ. აგრეთვე გამგეობამ მოიხსენია წიგნების რაოდენობა და მათი ფასი. აღმოჩნდა, რომ პირველ საანგარიშო წელს ე. ი. 24 მარტს 1914 წ. წიგნები ყოფილა 794 ცალი ღირებული 367 მ. და 25 კ., შემდეგ კი სამკითხველოს შეუძენია 383 ცალი წიგნი ღირებული 167 მ. 82 კ., გამგეობამ მოიხსენია დღიურ მკითხველთა რიცხვი, რომელიც აღემატება 25 კაცს, მათ შორის ზედმეტი ნაწილი მოზარდი თაობაა. სამკითხველოდან წიგნების წამღები ყოფილა 150 კაცი.

ამ მოხსენების შემდეგ კრება შეეკითხა გამგეობას, თუ რაა მიზეზი წევრების ყოველწლივ დაკლებისა. გამოირკვა, რომ ერთად ერთი მიზეზი ქართველური გულგრილობა ყოფილა.

რაც შეეხება ვალს, გამგეობამ განუმარტა კრებას, რომ წევრები ყოველწლივ აკლდებოდენო და რომელნიც იყვნენ, იმათთაც ხეირიანად არ შემოქონდათ ფულიო, რის გამო ან სამკითხველოს უნდა შეეწყვიტა არსებობა, ან და გამგეობას საკუთარ ჯიბიდან უნდა დაეხარჯა ფულიო; როგორც მოხდა მაგალითად: სურამში, ქარელში, გომში და სხვაგან. კრებამ მადლობა გამოუცხადა გამგეობას გულწრფელი სამსახურისათვის, წარმოდგენილი ანგარიში კანონიერად სცნო და დაამტკიცა.

რაც შეეხება იმ დეფიციტს, რომელიც დღეს სამკითხველოს აქვს, ამაზე მოკლე კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: ეთხოვოს ხაშურ. დრამ. წრის გამგეობას ახლო მომავალშივე გამართოს წარმოდგენა—საღამო სამკითხველოს სასარგებლოდ და აგრეთვე იმ წევრებს, რომელთაც საწევრო ფული არ შემოუტანიათ, დაუყოვნებლივ აასრულონ თვისი მოვალეობა სამკითხველოს წინაშე.

ვინაიდან ახლო მომავალში აუცილებლად ხაშურშიდ უნდა გაიხსნას წ. კ. გ. საზოგადოების განყოფილება, რომელსაც დაექვემდებარება ხაშურის სამკითხველო, კრებამ დაადგინა: ეთხოვოს ყოფილ გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებს განაგრძონ შრომა სამკითხველოს საკეთილდღეოდ ზემო აღნიშნულ განყოფილების გახსნამდის, რაზედაც წევრებმა თანხმობა გამოაცხადეს.

წ. კ. განყოფილების საკითხის მოსაწესრიგებლად არჩეულ იქნა კომისია, რომელშიაც შედიან შემდეგი პირნი: ნ. სიხარულიძე. გვარამაძე, ალ. კორძაია, ნ. კლდიაშვილი და ი. ცეცხლაძე.

**გ. მანიძე**

---

# ომში

**დაჭრილი, მოკლულნი, დაავათმყოფებულნი და უგზო-უკვლოთ დაკარგულნი ჯარის კაცნი.**

**ქალ. ერევანში იმყოფებიან:**

კოჩიშვილი გიორგი ანდრიას ძე, დუშეთის მაზრა, დაჭრილია, გაგნიძე გიორგი იოსების ძე, ფეხშია დაჭრილი, დუშ. მაზ. ქაბულაშვილი ივანე შამილის ძე, ხელშია დაჭრილი, გორის მაზ. გაბაშვილი ლავრენტი ეგნატეს ძე, დაჭრილია, ზუგდიდის მაზ. გოდერძაშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე, დაჭრილია, დუშ. მაზ. ლიდებულიძე მიხეილ ოტიას ძე, ავადაა, გორ. მაზ. ბაბუნაშვილი მელიტონ სამონის ძე, დაჭრილია, ქუთ. მაზ. გორილაშვილი თევდორე ხაწეს ძე, დაჭრილია, თიანეთ. მაზ. უმბერიძე ალისტრო გარსევანის ძე, ავადაა, ქუთ. მაზრა.

10 ივნისს, ოსმალეთის ჯარის წინააღმდეგ შეტაკების დროს დაიჭრა: სერგო ჯაბულის ძე ჩარკვიანი, ქუთ. მაზ. ბიქტორ ლევანის ძე, მოდებაძე, შორაპ. მაზრა, ანდრია შარდ. დავითოლიანი, ლეჩხუმის მაზ. გერასიმე უფლისას ძე ზიბზიბაძე, შორაპნის მაზ. ბესარიონ ქათამაძე ხონიდან.

ამავე დღეს მოჰკლეს: ვასილ ფირანის ძე გურგენიძე, რაჭის მაზ. სპირიდონ შავხოს ძე ნარსაკიძე, ლეჩხუმის მაზ. „თან. აზ“

---

# ღია წერილი

**ლადო ბზვანელს.**

გაზ. „სამშობლოს“ 124 ნუმერში მოთავსებულია თქვენი გულის წყრომა იმის შესახებ, თუ რატომ მე არ ვამჟღავნებ ჩემს ვინაობას. არ ვამჟღავნებ, რადგანაც ჯერ-ჯერობით ამას საჭიროება არ მოითხოვს.

კი მართალია, თქვენ თქვენი ვინაობა გამოაცხადეთ, მაგრამ თქვენ როგორც თქვენ თვითონვე ამბობთ, ხომ უმისოდაც ცნობილი ყოფილხართ?! მე კი, თქვენი თქმისამებრ, როგორც „უცხო“, უცხოთვე მსურს დავრჩე. ასეთი იყო და არის ჩემი გადაწყვეტილება, თუმცა ერთ მუხლში მეც ვფიქრობდი ჩემი ვინაობის გამოქვლავნებას, მაგრამ თქვენმა მეტის-მეტმა დაჯინებამ და ჩემი მედიატორების აზრმა დრომდის ამაზე ხელი ამაღებინეს, რადგანაც ფსევდონიმის გამჟღავნება არც ისე ადვილი საქმეა, რომ, ვინც კი ამას მოითხოვს, ყველას ვამცნოთ ის. მაშინ რაღა საჭიროა და ან რა აზრი ექნებოდა ფსევდონიმით წერას?! ასეთ პირობებში წერაც შეუძლებელი შეიქნებოდა და ნახევარზე მეტი წერას თავს გაანებებდა და კალამს ხელიდან გააგდებდა. ამას არც საზოგადოება საჭიროებს. რადგანაც მას წერილის აზრი და შეხედულება აინტერესებს და არა მისი სახელი და გვარი.

ამ შემთხვევაშიც საზოგადოება იცნობს და საქმე აქვს დეზთან და ლადო ბზვანელთან და მას აინტერესებს ის საკითხი, რომლის გარშემო წარმოებს მათ-შორის კამათი და არა მათი სახელი და გვარი. შეიძლება ისეთი ცნობილიც არ ვიყო, როგორც თქვენ, როგორც ამას თქვენ თვითონ მოწმობთ, მაგრამ ეს კი ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ თქვენ მაინც კარგად მიცნობთ და თქვენმა მედიატორებმა [illegible] იციან, [illegible] ამათ, [illegible] ამ საქმით დაინტერესებულია და მეტი არც საჭიროა.

მაშ ვისთვისაა საჭირო ჩემი სახელის და გვარის ოფიციალურათ გამოცხადება?! თქვენ კი მაინცა და მაინც ამას მოითხოვთ ჩემგან! სჩანს თქვენთვის ჩემი სახელი და გვარის ოფიციალურათ ცნობა ყოფილა საჭირო და მე კი მეგონა, რომ სამართალი და სიმართლე გაინტერესებდათ. გნებავთ სიმართლის გამოკვლევა? ინებეთ. მედიატორები ჩემგან უკვე დასახელებული არიან. არა და იძულებული ვარ ამ კითხვის შესახებ თქვენთან კამათი შევწყვიტო დღეიდან. **დე—ზი.**

---

# სია

(იხ. სამშ. 129-ე №)

**ქ. შ. წ. კ. საზ. ქ. გ. სასარგებლოთ.**

10 მაისს გამართულ სეირნობა ალეგრისათვის ქალბ. ლილი გამრეკელის ახულმა შეაგროვა შეწირულება:

1. მარიამ ანჯაფარიძისამ 3 მან. 2. გ. დ. ნარიმანოვმა 10 მან. 3. თვით ლილი გამრეკელის ასულმა 1 მან. 4. ელისაბედ გამრეკელისამ 1 ვაზა, 5. ელისაბედ გრიგოლიასამ სარძევე, საკარაქე და ვაზა, ნიკოლოზ ჩიქოვანის მეუღლემ მოაგროვა:

1. ალექსანდრა ბარაბაძისაგან მოქარგული ბალიშის პირი 2. ბარბალე ჭელიძისაგან 3 სალფეტკა 3. სოფიო ჯაფარიძისაგან 2 მან. 4. ვასსა ბერუჩიანძისაგან 1 მან. 5. მარუსია შახზარუნიანისაგან მოქარგული ზოლი 6. ლიზა ზეინაშვილისაგან საშაქრე 7. ვასსა გვარჯალაძისაგან ავკის სურათი 8. ნესტორ დავითაიასაგან 6 სალფეტკა 9. ანნა ჩიქოვანისაგან ჩაის ტილო 10. ნინა რუხაძისაგან ორი ვაზა 11. ლიზა კახიანისაგან 6 საინი 12. ეპრაქსია კალანდარაშვილის მეუღლისაგან ჩაის ტილო 13. კესარია მომთვარიასაგან ჩაის ტილოსთვის არშია 14. სირანა მამაჯანოვისაგან ორი ყავის ფინჯანი ქ. დესპინე რატიანისამ შემოსწირა წყლის გრაფინი თავის ჭიქა. ბ. პეტრე ყიფიანმა 5 მან.

---

**ჩვენი ფოსტა.**

სერაკი. ბ. „ტორს“ სამწუხაროდ თქვენი წერილი ვერ დაიბეჭდება.

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე**

---

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა**

**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ ц. 20 к.** კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **„გაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

---

სადგურ ხრესილში („სერნია ვოდში“) ტყიბულის რკინის გზ. შტოზე.

# სამკურნალო აბანო

**პ. ვ. ოგოლაძის.**

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 მაისიდან **გაიხსნა სეზონი.** ეს წყალი როგორც გამოკვლეულია, კურნავს მრავალ სხვა და სხვა ავათმყოფობისაგან და უმეტესათ კიდურების (რევმატიზმის), თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარიისაგან) და აგრეთვე ძალ ღონეს მატებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხსენებული აბანო არის სადგურიდან დაშორებული 100 საჟენით. იქვე სუფთა ბინები. ხელმისაწვდომ ფასებში. აბანო მუდმივ მუშაობს. სანოვაგეც ყველაფერი იშოვება. მატარებელი გადის დილა და შუადღეზე. თ.



სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. კოხრეიძისა—ქუთაისში